

ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის  
N82-87-88 ოთახებზე, მოქალაქე მარინე ხოხიაშვილისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა ხაშურში, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N29-ში მცხოვრები მოქალაქე მარინე ხოხიაშვილის წარმომადგენლის ფრიდონ მეფარიშვილის განცხადება /2012 წლის 21.09 Nმ-8051/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ სახლში განთავსებულ ოთახებზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N82-87-88 ოთახები/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე მარინე ხოხიაშვილის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N82-87-88 ოთახებზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მარინე ხოხიაშვილს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N82-87-88 ოთახებზე /N87-88 ოთახების საერთო ფართობი 31,65 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 31,65 კვ.მ, N82 ოთახი – საერთო სარგებლობის დამხმარე ფართობი 15,80 კვ.მ./ მოქალაქე მარინე ხოხიაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე